



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 21  
07/03/2018

21-06-4-201803071942



განკარგულება № 21

2018 წელი 7 მარტი

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის, 29-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის თანახმად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

**დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - გიორგი ღურჯუმელიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

**წევრები: ეროდი გორდელაძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ტარიელ არაშიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**შოთა გოგიბერიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ლევან მგელაძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ლელა საჯაია** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული,

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ლავრენტი ბიგვავა** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**შალვა თავდიშვილი** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ვასილ ჩიგოგიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**გენო ჩავლეშვილი** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეების“-ს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

**დავით ჭაკნელიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით აუცილებლობიდან გამომდინარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვით მიმდინარე წლის 7 მარტიდან 2018 წლის 7 ივნისამდე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო